

**ინფორმაცია**  
**აშშ-ის სახელმწიფო აუდიტის ოფისსა და**  
**ნიუ-იორკის შტატის ადგილობრივი აუდიტის ოფისში**  
**ოფიციალური ვიზიტის შესახებ**

2010 წლის 2-8 ოქტომბერს საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია, რომელსაც თავმჯდომარის მოადგილე დევი ვეფხვაძე ხელმძღვანელობდა, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ში - ნიუ-იორკის შტატის ადგილობრივი აუდიტის ოფისსა (ქ. ნიუ-იორკი) და აშშ-ის სახელმწიფო აუდიტის ოფისში (ქ. ვაშინგტონი).

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, 4 ოქტომბერს ნიუ-იორკის შტატის ადგილობრივი აუდიტის ოფისში დელეგაციის წევრები შეხვდნენ: ოფისის თავმჯდომარის მოადგილე ჯერი ბარბერს, მე-3 სეგმენტის დირექტორ ფრანკ პატონს და დ. ჰენკოქსს.

ნიუ-იორკის შტატის ადგილობრივი აუდიტის ოფისის ძირითადი ფუნქციაა: ადგილობრივი სახელმწიფო სააგენტოების აუდიტი; ადგილობრივი სახელმწიფო ფინანსების მართვა; სესხების გაცემა; ნიუ-იორკის შტატის საპენსიო ფონდის, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საინვესტიციო ინსტიტუტის, აქტივების მართვა (124.8 მილიარდი დოლარი). აუდიტის ობიექტების შერჩევაში ნიუ-იორკის შტატის ოფისი დამოუკიდებელია. რაც შეეხება აშშ-ის სახელმწიფო აუდიტის ოფისთან ურთიერთობას, იგი ძირითადად თანასწორუფლებიანი თანამშრომლობითა და ურთიერთდახმარებით შემოიფარგლება, მაგალითად, ხდება გამოცდილების გაზიარება, შედარებითი ანალიზი და კონკრეტული საკითხის ერთობლივად შესწავლა.

შეხვედრის მთავარი თემა იყო: „თაღლითობის აღმოჩენა მონაცემთა ანალიზისა და სხვა აუდიტორული მოკვლევების საშუალებით“. დ. ჰენკოქსის აზრით, თაღლითობის აღმოსაჩენად იმდენად მნიშვნელოვანი არ არის პროცედურების, შიდა პოლიტიკის ან/და დოკუმენტების საფუძვლიანი გაცნობა, რამდენადაც იქ მომუშავე პერსონალის პიროვნული უნარ-ჩვევების, საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემთა ბაზის შესწავლა-ანალიზი, ანალიტიკური პროცედურებით ტენდენციების, გადახრებისა და ანომალიების გამოვლენა და ამ საკითხების უშუალოდ აუდიტის ობიექტზე შესწავლა. თუმცა, აუდიტორი მხოლოდ ანალიტიკური პროცედურებითა და მათზე თუნდაც ლოგიკური ახსნა-განმარტებების მოსმენით არ უნდა შემოიფარგლოს. აუცილებელია ანალიტიკური

პროცედურებით გამოვლენილ მაღალი რისკის შემცველ სფეროებში დამატებით იქნეს მოძიებული მტკიცებულებები.

რაც შეეხება მონაცემთა ანალიზს, ნიუ-იორკის შტატის ადგილობრივი აუდიტის ოფისი ძირითადად იყენებს შემდეგ მიდგომებს:

- *ბენფორდის კანონი* (Benford's law) - რომლის მიხედვითაც დადგენილია მონაცემთა ბაზის პროცენტული დანაწევრების კანონზომიერება იმის მიხედვით, თუ რომელი ციფრით იწყება მონაცემი. ამ ფორმულის მიხედვით რიცხვები, რომლებიც იწყება ციფრი 1-ით, შეადგენენ მთლიან მონაცემთა 30.1%-ს. პროცენტული მაჩვენებელი იკლებს საწყისი ციფრის ზრდასთან ერთად და ციფრი 9-ით დაწყებული რიცხვები შეადგენენ მონაცემთა მხოლოდ 4.6%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფორმულით მიღებული პროცენტული გადანაწილების კანონზომიერება ყველა მონაცემთა ბაზისთვის არ ამართლებს (მაგალითად, როდესაც ორგანიზაციის ძირითადი პროდუქტის ფასი 90 ლარია, ლოგიკურად, ეს ფორმულა რეალიზაციების მონაცემთა ბაზისთვის არ გაამართლებს), იგი ფართოდ გამოიყენება სახელმწიფო და თაღლითობის გამომვლენი აუდიტორების მიერ, რომლებიც ანალიტიკური პროცედურებისას ბენფორდის კანონით გამოთვლილი ნორმიდან 0.7%-ზე მეტი გადახრის ყველა შემთხვევის მიზეზებს იკვლევენ.
- *ფარული ინტერნეტ-ძიება* (Encase internet search) - რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აუდიტის ობიექტის შიდა ქსელის ანალიზი სხვადასხვა მახასიათებლის ჭრილში, როგორცაა: მომხმარებლები; განსაზღვრული დოკუმენტების ტიპები, სახელები და შექმნის/მოდირეგისტრაციის თარიღები; წაშლილი დოკუმენტები; ნანახი ვებგვერდების ისტორიები მომხმარებლების მიხედვით; სამსახურის კომპიუტერებიდან გამოყენებული ელფოსტა და ა.შ., რომელიც ხორციელდება უშუალოდ აუდიტის ობიექტში მუშაობისას, რადგან უშუალოდ ოფისს სააუდიტო ობიექტების შიდა ქსელებში შეღწევა არ შეუძლია.
- *კლემენტინის მოდელი* (Clementine Model) - კლემენტინის მოდელი იძლევა მონაცემთა ეფექტიანად დამუშავებისა და ანალიზის საშუალებას და ის კვლევის ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდად ითვლება. კლემენტინის მოდელის საშუალებით შესაძლებელია მოიძებნოს ორ ან რამდენიმე მონაცემთა ბაზის ელემენტებს შორის არსებული ლოგიკური კანონზომიერება, რომლის

იქითაც შეიძლება იმალებოდეს თაღლითობის ფაქტები. ამ ყველაფრის დემონსტრირება ხდება ვიზუალურად და საჭიროა გამოვლენილი კანონზომიერების, როგორც თაღლითობის ინდიკატორის, შემდგომი კვლევა.

ზემოხსენებული მიდგომების გარდა, ნიუ-იორკის შტატის ადგილობრივი აუდიტის ოფისი ასევე იყენებს სხვადასხვა ჭრილში მონაცემებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზის მეთოდს. მაგალითად, მაღალი რანგის თანამშრომლები და მათი ხელფასების გამოკვლევა, გამოუყენებელი შვებულებების, აგრეთვე პოსტ-ტერმინალებიდან თანამშრომლების მიერ განაღდებული თანხების ანალიზი და ა.შ.

თაღლითობის აღმოსაჩენად მეტი ინფორმაციის, კაზუსის, პროგრამის მისაღებად ამერიკელმა კოლეგებმა გვირჩიეს ვებგვერდი - [www.acl.com](http://www.acl.com)-ის მოძიება და დათვალიერება.

მეორე შეხვედრა გაიმართა 6 ოქტომბერს, ქ. ვაშინგტონში, აშშ-ის სახელმწიფო აუდიტის ოფისის თავმჯდომარე ჯინ დოდაროსთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ხელმძღვანელ ტიმ ბოულინგთან და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელ გას გროსეტოსთან.

ჯინ დოდარომ ზოგადად მიმოიხილა აშშ-ის სახელმწიფო აუდიტის ოფისის საქმიანობა და კონკრეტულად შეეხო აუდიტის თემების დაგეგმვისა და შერჩევის საკითხებს, შესრულებული სამუშაოების ხარისხის შეფასებას, როგორც საერთაშორისო უმაღლესი აუდიტორული ორგანოების, ასევე შიდა ადგილობრივი აუდიტორული ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე, პროგრამულ უზრუნველყოფასა და სამუშაო რესურსებს.

ჯინ დოდარომ აღნიშნა, რომ მის ორგანიზაციაში დასაქმებულია 2 ათასამდე ადამიანი და გამოირჩევა როტაციის დაბალი მაჩვენებლით (საშუალოდ 5 წელი).

ოფისი სარგებლობს აუდიტის ელექტრონული პროგრამით - Eagle, სადაც ყველა პროცედურა დეტალურადაა აღწერილი სექციების მიხედვით. სწორედ აღნიშნული პროგრამით აკონტროლებს აუდიტორი და ზედამხედველი პირი, სრულყოფილად არის თუ არა შესრულებული თითოეული პროცედურა. Eagle მოიცავს იმ საკანონმდებლო ბაზას, მარეგულირებელ აქტებსა და სტანდარტებს, რომლებიც საჭიროა აუდიტის ჩასატარებლად.

რაც შეეხება აუდიტის თემების შერჩევას (აღინიშნა, რომ მათ 90%-ს იღებენ კონგრესიდან), სახელმწიფო აუდიტის ოფისი ირჩევს იმ თემებს, რომლებიც მათი თვალსაზრისით საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია და ამავე დროს, არ გამოიწვევს პოლიტიკურ პოლემიკას, არ დაუკარგავს აუდიტორს პოლიტიკურ ნეიტრალობას. ოფისის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები ერთმანეთს ხვდებიან ყოველი კვირის ორშაბათ დღეს. ამ შეხვედრებზე ხდება საზოგადოებისათვის საყურადღებო თემების განხილვა, იმ საკითხების შესწავლის აუცილებლობის შეფასება, რომლებიც რეკომენდაციების გაცემას საჭიროებენ. ასევე, დაგეგმილი აუდიტის ობიექტების სირთულიდან გამომდინარე, თითოეულ მათგანს ენიჭება რისკის დონე (დაბალი, საშუალო, მაღალი), რომელიც განისაზღვრება აუდიტის სპეციფიკის, სირთულის, აუდიტთან დაკავშირებული ხარჯის, ადამიანური რესურსების საჭირო რაოდენობისა და მათი კომპეტენციის გათვალისწინებით. დასმულ კითხვაზე, თუ როგორ ხდება თანამშრომელთა შეფასება იმ მიზნით, რომ აუდიტი განხორციელდეს საკმარისი კომპეტენციის მქონე აუდიტორების მიერ, ტიმ ბოულინგმა განაცხადა, რომ სახელმწიფო აუდიტის ოფისში არსებობს სხვადასხვა სექტორის 13 დეპარტამენტი, რომლებიც, გარდა იურისტების, ბუღალტრებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებისა, დაკომპლექტებულია ამ სექტორებისათვის საჭირო გამოცდილების, ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანებით. კონკრეტული საკითხისა და თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, განხილვაში მონაწილეობენ ოფისის ის წარმომადგენლები, რომლებიც კომპეტენტურნი არიან ამ საკითხში. შედეგად, განისაზღვრება თუ რა აუცილებელი კომპეტენციის მქონე აუდიტორებით უნდა დაკომპლექტდეს აუდიტის ჯგუფი, ასევე განიხილება ექსპერტის მოწვევის საჭიროება. როგორც წესი, ექსპერტი უშუალოდ არ ერთვება აუდიტის პროცესში, მას მხოლოდ კონსულტანტის ფუნქცია აკისრია.

**ხარისხის კონტროლი.** ამჟამად ხარისხის კონტროლი მიმდინარეობს აუდიტის პროცესში გარკვეული ეტაპის დასრულებისთანავე და არა მთლიანი აუდიტის დასრულების შემდეგ, როგორც ეს ადრე ხდებოდა. იმ პროექტებს, რომლებიც შეფასდა როგორც მაღალი რისკის მქონენი, განიხილავენ ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი პირები და პირადად სახელმწიფო აუდიტის ოფისის თავმჯდომარე. საშუალო რისკიანად შეფასებულ პროექტებზე ხარისხის კონტროლს ახორციელებენ უფროსი აღმასრულებლები (senior executive), დაბალრიკიან პროექტებს კი ამოწმებენ სეგმენტების ხელმძღვანელები (managing director). ასეთი მიდგომა ეფექტიანია, რადგან თავიდანვე ხდება აუდიტის მიზნების შეფასება და საჭიროებისამებრ შეცვლა. ამასთანავე, ხარისხის მაკონტროლებლები ჩართული არიან აუდიტის

პროცესის ყველა ეტაპზე და აუდიტის ანგარიშის პროექტი არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს.

შეზღუდული დროისა და ადამიანური რესურსების გამო აუდიტის ობიექტის სრულყოფილად შესწავლა ვერ ხერხდება, ამიტომ ხდება მხოლოდ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების შესწავლა. ამის გამო მათი აუდიტების ძირითადი ნაწილი შეზღუდული მასშტაბისაა (limited scope audit).

რაც შეეხება თანამშრომელთა პასუხისმგებლობას აუდიტთან და აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით, ყოველი აუდიტორი ხელს აწერს მის მიერ შესრულებულ სამუშაო დოკუმენტს, რის შემდეგაც აუდიტის ყველა სამუშაო დოკუმენტს გადაამოწმებს, შენიშვნებს აკეთებს და ხელს აწერს სეგმენტის ხელმძღვანელის ასისტენტი (Assistant director), რომელიც ხელმძღვანელობდა აუდიტის პროცესს (Analyst in-charge). თვითონ აუდიტის ანგარიშს ხელს აწერს სეგმენტის ხელმძღვანელი. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტი მაღალრისკიანია, მაშინ ხელს აწერს ან აშშ-ის სახელმწიფო აუდიტის ოფისის თავმჯდომარე, ან ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ხელმძღვანელი. აუდიტის ანგარიშის გაგზავნიდან მაქსიმუმ 30 დღის განმავლობაში აუდიტის ობიექტს უფლება აქვს წარმოადგინოს თავისი შენიშვნები და კომენტარები.

**ადამიანური რესურსი და მათი განვითარება.** სახელმწიფო აუდიტის ოფისის თანამშრომელთა 50 %-ზე მეტს გააჩნია მუშაობის 5-10 წლის გამოცდილება. პერსონალის უმეტესობა საპენსიო ასაკს უახლოვდება და ოფისი დგას დასაყრდენი, გამოცდილი ადამიანური რესურსის დაკარგვის საშიშროების წინაშე. ამიტომ ოფისი ცდილობს აიყვანოს ახალი კადრი, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, რათა პენსიაზე გამსვლელი აუდიტორების ჩასანაცვლებელი რესურსი ჰყავდეს.

აშშ-ის სახელმწიფო აუდიტორულ ოფისში დანერგილია თანამშრომელთა გადამზადებისა და განვითარების სამი მეთოდი, რომლებსაც აქტიურად იყენებს ოფისის სასაწავლო ცენტრი, კერძოდ:

- სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთა გადახალისებაც ხდება ყოველ 3 თვეში ერთხელ. თითოეულ კურსში აუდიტორი აგროვებს გარკვეულ კრედიტს და შიდა დებულების თანახმად, ის ვალდებულია ამ სალექციო კურსებიდან წელიწადში დააგროვოს 80 კრედიტი; სასწავლო კურსის პროგრამების შედგენაში ჩართულია ყველა სეგმენტის ხელმძღვანელი.

- საერთაშორისო სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა იმ სპეციფიკური ცოდნის მისაღებად, რომელიც აუცილებელია კონკრეტულ სემინარებში მომუშავე აუდიტორისათვის. იმის გამო, რომ გარეთ მიღებული ცოდნა და მასალები არ იღებდა დოკუმენტის სახეს (ანგარიში, ინფორმაცია, ანალიტიკური მასალა) და შესაბამისად, მას ვერ ეცნობოდნენ სხვა თანამშრომლები, სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის, გას გროსეტოს აზრით, ოფისის მიერ გაწეული ხარჯები არ იყო სათანადოდ ეფექტიანი. ამიტომ დაიწყო მიღებული ცოდნის საფუძველზე შესაბამისი მასალების დამუშავება/მომზადება/არქივში განთავსება, რათა მათი გაცნობა ყველა აუდიტორისათვის იყოს შესაძლებელი. სამომავლოდ, ოფისის შიგნით იგეგმება საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან და ორგანიზაციებიდან მოწვეული გამოცდილი სპეციალისტების მონაწილეობით ტრენინგების ორგანიზება.
- გამოცდილების გაზიარება. სტაჟიანი აუდიტორების მიერ თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება მათ პრაქტიკაში არსებული რეალური კაზუსებისა და მაგალითების საფუძველზე. მართალია, მათ ამის გამო დამატებითი ანაზღაურება არ ეძლევათ და აჯილდოებენ სიგელებით დამსახურების გამო.

გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო აუდიტის ოფისის სასწავლო ცენტრი სამუშაო პროცესისათვის ამუშავებს დამხმარე ინსტრუქციებს.

დელეგაციის წევრების აზრით, მიზანშეწონილია, რომ ზემოხსენებული ოფისების გამოცდილება გაზიარებულ იქნეს და საქართველოს კონტროლის პალატაშიც დაინერგოს.